

# მათემატიკა

საერთაშორისო სკოლებისთვის

ისწავლე და განვითარდი!

9

მოსწავლის რვეული



Pearson

**მათემატიკა საერთაშორისო სკოლებისთვის 9**  
მოსწავლის რვეული

ადაპტაციის ავტორი თეიმურაზ გელაშვილი  
მთარგმნელი ზაზა დობორჯგინიძე  
რედაქტორი ოლანი ბინაძე  
დიზაინერი ია მახათაძე  
ტექნიკური დიზაინერი ვიკა კვარაცხელია

პირველი გამოცემა, 2024  
© სულაკაურის გამომცემლობა, 2024  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“  
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ტელ.: 291 09 54, 291 11 65  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-37-562-0

**Mathematics for International Schools 9**  
Student's Workbook

© Pearson Education Limited 2020  
Original illustrations © Pearson Education Limited 2020  
Cover illustration by Robert Samuel Hanson

The rights of Greg Byrd, Keith Gallick, Sophie Goldie, Catherine Murphy, Su Nicholson, Amy O'Brien and Diane Oliver to be identified as authors of this work have been asserted by them in accordance with the Copyright, Designs and Patents Act 1988.

© Sulakauri Publishing, 2024  
All rights reserved.

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

# სარჩევი

1	თანრიგის ერთეულები, ხარისხები და სტანდარტული ფორმა	1
2	2D ფიგურები და 3D წახნაგები	11
3	კვადრატული მიმდევრობები	22
4	აგება	33
5	უტოლობები, განტოლებები, ფორმულები	43
6	მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	55
7	გამრავლების გააზრება	64
8	მასშტაბი და ზომები	74
9	გაზომვა და სიზუსტე	84
10	გრაფიკული ამოხსნა	92
11	ტრიგონომეტრია	104
12	ალბათობა	115




# გაეცანი მოსწავლის რვეულის სტრუქტურას

თავდაკერებულობა • მყარი ცოდნა • პრობლემის გადაჭრა • პროგრესი

გვჯერა, ახალი კურსის დაწყება შენთვის საინტერესო იქნება. მათემატიკის სწავლით სიამოვნებასაც მიიღებ, თავდაჯერებულობასაც აიმაღლებ და შედეგებსაც გააუმჯობესებ. დაიწყე უმთავრეს საკითხებში **განაფეით**.

გიდით მონიშნული დავალე-  
ბები ნაწილობრივაა შესრუ-  
ლებული, რაც პასუხის  
პირვენას გავიმარტივებს.




მინისტერებში განმარტე-  
ბულია უცნობი ტერმინები  
და წარმოდგენილია  
სტრატეგიები, რომლებიც  
კონკურენტული ამოცანის  
ამოხსნაში დაგეხმარება.

ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოცემული შემოწმება ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში დაგენერირება და გთავაზობს საგანგებო დავალებებს, რომლებიც ნასწავლის განვითარებას ემსახურება.

**QR** კოდი გაძლევს წვდო-  
მას ამოხსნილ მაგალითებ-  
თან.


**განმტკიცებაში** მხოლოდ ის საკითხები შეარჩიე, რომლებზეც უფრო მეტი ვარჯიში გჭირდება. შენთვის საინტერესო თემების ირგვლივ აქ გაჯილებით მეტი მინიშნება დაგხვდება.



ଜୀବନରେ ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧୀଙ୍କ ପଦ୍ଧତି ଅନୁଯାୟୀ ଜୀବନ କରିବାକୁ ଆଶ୍ରମ କରିବାକୁ ପାଇଁ ଏହା ପରିବାରର ପାଇଁ ଆମିରିଲେ କମିଷନ୍ କରିଛି।




თავის ბოლოს მოცემული **ტესტის** საშუალებით უკეთ შეაფასებ შენს მიღწევებსა და სუსტ მხარეებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე დავალებებს, რომლებიც სწორად შეასრულე და თვითშეფასების კითხვარში (გვ. 110-113) მონიშნე.



# STEM: 10-ის ხარისხები

1. შეავსე პოზიციური ცხრილი 10-ის ხარისხებისთვის.



თითოეული რიცხვი ცხრილში ათის ხარისხს წარმოადგენს იმიტომ, რომ ათობით (დეციმალურ) სისტემას ვიყენებთ (დეც = 10).

2. a. მოცემულია 10-ის ხარისხების პრეფიქსები. შეავსე ცხრილები.

პრეფიქსი	ასო	ხარისხი	რიცხვი
ტერა	ტ		1 000 000 000 000
გიგა	გ	$10^9$	1 000 000 000
მეგა	მ		1 000 000
კილო	კ	$10^3$	
დეცი	დ	$10^{-1}$	0,1

პრეფიქსი	ასო	ხარისხი	რიცხვი
ცენტი	ც	$10^{-2}$	
მილი	მ		0,001
მიკრო	μ	$10^{-6}$	
ნანო	ნ		0,000 000 001
პიკო	პ	$10^{-12}$	

ბ. რამდენჯერ მეტია:

1. გიგავატი მეგავატზე? .....
2. მეგამეტრი მეტრზე? .....
3. კილომეტრი დეციმეტრზე? .....
4. სანტიმეტრი ნანომეტრზე? .....

10-ის ზოგიერთ ხარისხს სახელი აქვს, რასაც პრეფიქსი ეწოდება. პრეფიქსი  $10^6$ -ისთვის არის მეგა, როგორც მეგაბაიტიში.

### განმარტება

პრეფიქს „მიკრო“-ს აღსანიშნად ვიყენებთ ბერძნულ ასო μ-ს, რომელიც გამოითქმის, როგორც მიუ.

3. STEM ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სამი პლანეტის შესახებ.

პლანეტა	დიამეტრი (კმ)	საშალო მასიური მზიდან (კმ)
დედამიწა	$1,28 \times 10^4 = 12\ 800$	$1,5 \times 10^8 =$ .....
მარსი	$6,8 \times 10^3 =$ .....	$2,28 \times 10^8 =$ .....
იუპიტერი	$1,43 \times 10^5 =$ .....	$7,79 \times 10^8 =$ .....

1. დაწერე მანძილები ჩვეულებრივი რიცხვების სახით.
2. რომელს აქვს ყველაზე დიდი დიამეტრი? .....
3. რომელია ყველაზე ახლოს მზესთან? .....

ჯერ დაწერე  $10^4$   
ჩვეულებრივი  
რიცხვის სახით:  
 $1,28 \times 10^4 =$   
 $1,28 \times 10\ 000 = \square$

4. STEM / პრობლემის გადაჭრა თვითმფრინავის აფრენისას მისი მინიმალური მასაა  $3,3 \times 10^5$  კგ. გადაიყვანე ტონებში.

1 ტონა = 1000 კგ

5. STEM / მსჯელობა მიკროპლაზმა ყველაზე მცირე ზომის ცოცხალი ორგანიზმია. ის დაახლოებით 1,5 მიკრომეტრი დიამეტრისაა. გადაიყვანე დიამეტრი მილიმეტრებში.

### შემონმება

რამდენად  
თავდაჯერებული ხარ?  
მონიშნე შესაბამისი  
უჯრა.



მეტი დახმარება გჭირდება? გადადი გვ. 10-ზე  
და მონიშნე უჯრები ამოცანა 1-ის გასწროვ.  
1.1-1.5-ის დასრულების შემდეგ კვლავ სცადე  
მათი ამოხსნა.

სიდა

1. დაახლოებით გამოთვალე მნიშვნელობები.

a.  $\frac{2 \times 5^6}{5^4} = 2 \times 5 \dots = 2 \times \dots = \dots$

შეკვეცე 5-ის  
ხარისხები,  
გაამრავლე 2-ზე.

b.  $\frac{2^3 \times 4^9}{4^8} \dots$

c.  $\frac{5 \times 3^7}{3^3 \times 3^2} \dots$

ხარისხის მაჩვენებლიანი  
გამოსახულებები შეგიძლია გაამარტივო.

2. პრობლემის გადაჭრა გამოთვალე:  $\frac{8 \times 2^{10} \times 5 \times 32}{2^6 \times 16 \times 2^7}$

3. დააწყვილე ტოლი მნიშვნელობის ბარათები.

$19 + 3^2$

$19 - 3^2$

$19 + (-3)^2$

$19 - (-3)^2$

$34 - 5^2 - 4^2$

$34 - (-5)^2 + 4^2$

$34 - 5^2 + (-4)^2$

$34 - (-5)^2 - 4^2$

### სტრატეგია

დაწერე რიცხვების მაქსიმალური  
რაოდენობა 2-ის ხარისხებად.

4. დაამრგვალე მოცემულ თანრიგის ერთეულებამდე.

a.  $52,5381 (10^{-2})$

52,54

როცა მომდევნო ციფრი 5 ან მეტია,  
ერთით გაზარდე წინამდებარე ციფრი.

b.  $0,004\ 721 (10^{-5})$

10<sup>-5</sup> თანრიგამდე დამრგვალება  
ნიშნავს მძიმის მერე მე-5 თანრიგს.

c.  $85\ 739 (10^3)$

10<sup>3</sup> ნიშნავს 1000-ეულ თანრიგს.

უფროსი თანრიგის ერთეული  
ეწოდება ყველაზე მაღალი  
თანრიგის ნულისგან განსხვა-  
ვებულ ერთეულს.

5. შეაფასე პასუხი უფროს თანრიგის ერთეულამდე დამრგვალებით.

a.  $54 \times 279 \dots$

b.  $4268 \times 37 \dots$

c.  $487 \div 18 \dots$

6. შეაფასე პასუხი უფროს თანრიგის ერთეულამდე დამრგვალებით.

a.  $\frac{(3,4 + 5,8)^2}{2,3^3}$

$\frac{(3,4 + 5,8)^2}{2,3^3} \approx \frac{(3 + 6)^2}{2^3} = \frac{9^2}{8}$

b.  $\frac{(34 - 17)^2}{6,7^2}$

რა რიცხვია 8-ის ჯერადი და ახლოს 9<sup>2</sup>-სთან?  
ამ გზით შეაფასე საბოლოო პასუხი.

c.  $\frac{5,2 \times 4,7}{(1,8 + 3,4)^2}$

მოედანი	Old Trafford	Anfield	Deva	Emirates	Cardiff City
ფავალობა	75 731	45 522	5376	60 362	26 828

7. პრობლემის გადაჭრა ლიზიმ ჩაიფიქრა მთელი რიცხვი. დაამრგვალა ათეულამდე და მიიღო 430.

დაწერე ყველაზე დიდი და მცირე რიცხვი, რომელიც შეიძლება ლიზის ჩაეფიქრებინა.

8. სინამდვილე ცხრილში

მოცემულია ხუთი ყველაზე  
დიდი სტადიონის ტევადობა.

a. შეავსე ცხრილი.

დაამრგვალე მონაცემები

უფროს თანრიგის ერთეულამდე.

b. გამოთვალე დიაპაზონი.

შემონმება

რამდენად  
თავდაჯერებული ხარ?  
მონიშნე შესაბამისი  
უჯრა.



მეტი დახმარება გჭირდება? გადადი გვ. 10-ზე  
და მონიშნე უჯრები ამოცანა 2-ისა და 3-ის  
გასწვრივ. 1.1-1.5-ის დასრულების შემდეგ  
კვლავ სცადე მათი ამოხსნა.

## ხარისხი

საბუნებო

1. დაასრულე:

ა.  $5^{-2} = \frac{1}{5^2}$

დ.  $\dots^{-2} = \frac{1}{121}$

გ.  $8^{-1} = \dots$

ბ.  $\frac{1}{2} = 2 \dots$

გ.  $3^{-3} = \dots$

თ.  $\frac{1}{16} = 4 \dots = 2 \dots$

გ.  $7 \dots = \frac{1}{49}$

გ.  $2^{-5} = \dots$

თ.  $\frac{1}{625} = 25 \dots = 5 \dots$

უარყოფით ხარისხში  
აყვანა იგივეა, რაც ამ  
რიცხვის შეპრუნებულის  
აყვანა ხარისხში.

საბუნებო

2. ჩანერე ერთი რიცხვის ხარისხის მაჩვენებლის სახით.

ა.  $10^7 \times 10^{-4}$

$= 10^3$   $10^7 \times 10^{-4} = 10^{7+(-4)}$

ბ.  $6^3 \times 6^{-5}$

გ.  $3^{-2} \times 3^{-4}$

დ.  $5^{-2} \div 5^3$

ე.  $9^{-8} \div 9^{-3}$

გ.  $(11^{-3})^4$

ზ.  $(4^{-6})^2$

ხარისხის წესები უარყოფით  
ხარისხებზეც მოქმედებს.  
 $a^m \times a^n = a^{m+n}$   
 $a^m \div a^n = a^{m-n}$   
 $(a^m)^n = a^{mn}$

3. ჩანერე თითოეული რიცხვითი გამოსახულება:

1. ერთი ხარისხის სახით

2. მთელის ან წილადის სახით

ა.  $6^5 \times 6^{-3} \times 6^{-4}$

ბ.  $3^{-5} \times 3^{-1} \div 3^{-9}$

1. ....

1. ....

გ.  $\frac{5^{-4} \times 5^{-7}}{5^{-8}}$

1. ....

ამოხსნილი  
მაგალითი

2. ....

2. ....

2. ....



4. დაწერე თითოეული რიცხვითი გამოსახულება წილადის სახით.

ა.  $\frac{1}{5} \times \frac{1}{5}$

ბ.  $\left(\frac{5}{8}\right)^2$

გ.  $\left(\frac{3}{10}\right)^3$

ფრჩხილები აჩვენებს, რომ  
ხარისხში აგყავს მთლიანად  
წილადი.

5. დაწერე თითოეული წილადი ხარისხში აყვანილი წილადის სახით.

ა.  $\frac{25}{49}$

ბ.  $\frac{64}{144}$

გ.  $\frac{81}{100}$

დ.  $\frac{9}{121}$

ე.  $\frac{8}{27}$

ვ.  $\frac{1}{125}$

6. **პრობლემის გადაჭრა** თორნიკემ ნახევარი პიცა შეჭამა, მამამისმა – დარჩენილის ნახევარი,  
დედამისმა კი – დარჩენილის ნახევარი. რამდენი პიცა დარჩა?  
პასუხი დაწერე:

ა. წილადის სახით

ბ. ხარისხში აყვანილი წილადის სახით

შემონმება

რამდენად  
თავდაჯერებული ხარ?  
მონიშნე შესაბამისი  
უჯრა.



მეტი დახმარება გჭირდება? გადადი გვ. 10-ზე  
და მონიშნე უჯრები ამოცანა 4-ისა და 5-ის  
გასწვრივ. 1.1-1.5-ის დასრულების შემდეგ  
კვლავ სცადე მათი ამოხსნა.

## სტანდარტული ფორმა

1. მონიშნე სტანდარტული ფორმით ჩანერილი რიცხვები.

$3,5 \times 10^8$	$2 \times 10^7$	$0,6 \times 10^4$
$9,9 \times 10$	$73 \times 10^{-8}$	$4,306 \times 10^{-9}$

სტანდარტული ფორმით რიცხვის ჩანერა არის 1-დან 10-მდე რიცხვი, რომელიც 10-ის ხარისხზეა გამრავლებული. მაგ.,  $4,2 \times 10^6$ .

2. სტანდარტული ფორმით ჩანერილი რიცხვები ჩანერე ჩვეულებრივი რიცხვების სახით.

ა. $5 \times 10^3$	ბ. $3,7 \times 10^{-4}$	გ. $4,9 \times 10^7$	დ. $2,09 \times 10^{-6}$	$5 \times 10^3 = 5 \times 1000 = \square$
--------------------	-------------------------	----------------------	--------------------------	---

3. ჩანერე სტანდარტული ფორმით.

- ა. 35 700  
 $= 3,57 \times 10^4$
- ბ. 7 100 000
- გ. 0,000 006 35

3,57 მდებარეობს 1-სა და 10-ს შორის.  
 გაამრავლე 10-ის ხარისხზე თავდაპირველი რიცხვის მისაღებად.  
 3 , 5      7      0      0

- ძ. 498
- დ. 0,0018  
 $= 1,8 \times 10^{-3}$
- ვ. 0,000 000 04

1,8 მდებარეობს 1-სა და 10-ს შორის. თავდაპირველი რიცხვის მისაღებად გაამრავლე 10-ის ხარისხზე. რიცხვი ნაკლებია 1-ზე. ამრიგად, ხარისხი უკარყოფითია. ეს იგივეა, რაც 10-ის ხარისხზე გაყოფა.  
 0 , 0      0      1      8

4. STEM

ა. დაწერე სტანდარტული ფორმით.

სხეული	განცილი დედამიწიდან (კმ)	განცილი დედამიწიდან (კმ) სტანდარტული ფორმით
მარსი	225 000 000	
მთვარე	384 400	
სატურნი	1 300 000 000	

ამოხსნილი მაგალითი



ბ. იუპიტერი დედამიწიდან  $7,87 \times 10^8$  კმ მანძილზე.

დედამიწასთან უფრო ახლოსაა თუ სატურნთან?

5. დაალაგე ზრდის მიხედვით.

ა. $6,4 \times 10^3$	7,8 $\times 10^2$	2,1 $\times 10^4$	8,52 $\times 10^2$	3,51 $\times 10^4$
----------------------	-------------------	-------------------	--------------------	--------------------

დაწერე ყველა რიცხვი სრულად.

ბ. $1,4 \times 10^{-4}$	9,27 $\times 10^{-6}$	5,31 $\times 10^{-5}$	6,8 $\times 10^{-4}$	2,67 $\times 10^{-3}$
-------------------------	-----------------------	-----------------------	----------------------	-----------------------

6. STEM დაალაგე სუბატომური ნაწილაკების მასები კლების მიხედვით.

ნაწილაკი	ელექტრონი	ნეიტრონი	პროტონი
მასა (კგ)	$9,11 \times 10^{-28}$	$1,675 \times 10^{-24}$	$1,673 \times 10^{-24}$



7. STEM დაწერე თითოეული ჩვეულებრივი რიცხვის სახით:

1. მეტრებში                  2. მილიმეტრებში

ა. თმის დიამეტრი:  $1 \times 10^{-4}$  მ                  1..... 2.....

ბ. უჯრედის პირთვის სიგანე:  $5,1 \times 10^{-6}$  მ                  1..... 2.....

1მ = 1000 მმ-ია,  
 გამრავლე  $10^{-6}$ -ზე.

შემოწმება

რამდენად  
 თავდაჯერებული ხარ?  
 მონიშნე შესაბამისი  
 უჯრა.



მეტი დახმარება გჭირდება? გადადი გვ. 10-11-ზე და მონიშნე უჯრები ამოცანა 6-ის, 7-ის, 8-ის, 9-ისა და 10-ის გასწვრივ. 1.1-1.5-ის დასრულების შემდეგ კვლავ სცადე მათი ამოხსნა.

# 1.3

განაცვა

## STEM: გამოთვლა სტანდარტული ფორმით

1. გამოთვალე. პასუხები ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

ა.  $(1,3 \times 10^4) \times (8 \times 10^5)$

$$= 1,3 \times 8 \times 10^4 \times 10^5$$

$$= 10,4 \times 10^9$$

$$= 1,04 \times 10 \times 10^9$$

$$= 1,04 \times 10^{10}$$

დააჯგუფე რიცხვები და ათის ხარისხები ერთად.

გამოიანგარიშე რიცხვების ნამრავლი და 10-ის ხარისხების გამარტივებისთვის გამოიყენე ხარისხის წესები.

დაწერე სტანდარტული ფორმით:  $10,4 = 1,04 \times 10^1$

ბ.  $(2,85 \times 10^6) \times (4 \times 10)$

გ.  $(4,2 \times 10^3) \times (6 \times 10^7)$

დ.  $(1,5 \times 10^4)^2$

გადა

2. გამოთვალე. პასუხები ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

ა.  $\frac{8 \times 10^6}{4 \times 10^2}$

ბ.  $\frac{9 \times 10^7}{3 \times 10^4}$

გ.  $\frac{1,8 \times 10^5}{6 \times 10}$

გაყავი რიცხვითი ნაწილი. გამოიყენე ხარისხების წესები 10-ის ხარისხების გაყოფისთვის.



3. კალკულატორის გამოყენებით გამოთვალე:

ა.  $(3,58 \times 10^2) \times (7,25 \times 10^5)$

ბ.  $\frac{1,457 \times 10^{12}}{3,1 \times 10^7}$



4. STEM ოპტიკური მიკროსკოპი ადიდებს 1000-ჯერ. ერითროციტის დიამეტრია  $1 \times 10^{-5}$  მ. რამხელა გამოჩნდება მიკროსკოპში? პასუხი დაწერე მმ-ში.

ამოხსნილი  
მაგალითი



5. გამოთვალე. პასუხები ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

ა.  $3,2 \times 10^5 + 2,47 \times 10^5$

ბ.  $4,5 \times 10^4 + 2,7 \times 10^3$

გ.  $5,8 \times 10^{-6} - 1,4 \times 10^{-6}$

დ.  $2,9 \times 10^{-5} - 6, \times 10^{-7}$



ორივე რიცხვს ერთნაირი 10-ის ხარისხი უნდა ჰქონდეს, სანამ მიუმატებ ან გამოაკლებ. ასევე შეგიძლია გადაიყვანო სტანდარტული ფორმიდან ჩვეულებრივში და შემდეგ შეკრიბო.

6. STEM ყველაზე პატარა ვირუსის ზომაა  $1,7 \times 10^{-9}$  მ, ყველაზე დიდის –  $1 \times 10^{-6}$  მ. რამდენიმე ვირუსების ზომის დიაპაზონი?

შემოწმება


რამდენად  
თავდაჯერებული ხარ?  
მონიშნე შესაბამისი  
უჯრა.



მეტი დახმარება გჭირდება? გადადი გვ. 11-ზე და მონიშნე უჯრები ამოცანა 11-ის გასწროვ. 1.1-1.5-ის დასრულების შემდეგ კვლავ სცადე მათი ამოხსნა.

## 10-ის ხარისხები

1. გადაიყვანე:   
 ა.  $4,7 \text{ გმ კმ-ში} \dots$    
 ბ.  $0,000\,53 \text{ მმ ნმ-ში} \dots$    
 გ.  $829\,000 \text{ მმ კმ-ში} \dots$    
 დ.  $0,043 \text{ მმ პმ-ში} \dots$



## გამოთვლა და შეფასება

2. დაამრგვალე უფროს თანრიგის ერთეულამდე.   
 ა.  $47,23 \dots$    
 ბ.  $0,73 \dots$    
 გ.  $55\,500 \dots$    
 დ.  $0,0184 \dots$
3. შეაფასე თითოეული გამოთვლის შედეგი, დაამრგვალე თითოეული რიცხვი უფროს თანრიგის ერთეულამდე სიზუსტით.   
 ა.  $365 \times 45 \dots$    
 ბ.  $5631 \div 23 \dots$

## ხარისხის მაჩვენებელი

4. ა.  $1. 4^3 \div 4^8 = 4 \cdots$    
 2.  $4^3 \div 4^8 = \frac{4^3}{4^8} = \frac{\cancel{4} \times \cancel{4} \times \cancel{4}}{\cancel{4} \times \cancel{4} \times \cancel{4} \times 4 \times 4 \times 4 \times 4 \times 4} = \cdots$    
 3. შეავსე:  $4^{-5} = \frac{1}{4^5}$
- ბ. გამოიყენე წინა პასუხები და შეავსე:   
 1.  $5^{-2} = \frac{1}{5^2}$       2.  $3^{-4} = \frac{1}{3^4}$       3.  $8^{-7} = \frac{1}{8^7}$       4.  $7^{-3} = \frac{1}{7^3}$
5. დაწერე ერთი ხარისხის სახით.
- საბუნებო:   
 ა.  $5^3 \times 5^{-7} = 5^{3+(-7)} = 5^{-4} \dots$    
 ბ.  $4^{-2} \times 4^5 = 4^{-2+5} = 4^3 \dots$    
 გ.  $7 \times 7^{-6} \dots$    
 დ.  $3^4 \div 3^9 = 3^{-4} \dots$    
 ე.  $\frac{9^2}{9^{-5}} \dots$    
 ვ.  $(6^{-3})^7 = 6^{-21} \dots$

ხარისხების რომელ  
წესს გამოიყენებ?

ამოხსნილი  
მაგალითი




## სტანდარტული ფორმა

6. გამოთვალე:   
 ა.  $5,2 \times 10^3 \dots$    
 ბ.  $3,8 \times 10^4 \dots$    
 გ.  $9,1 \times 10^2 \dots$    
 დ.  $4,7 \times 10^6 \dots$


5,2  
 5 2 0 0  
 $5,2 \times 10^3$  ნიშნავს, 5,2  
 გაამრავლე 10-ზე სამჯერ.

7. გამოთვალე:

- ა.  $6,5 \times 10^{-3}$  ..... ბ.  $2,7 \times 10^{-4}$  .....  
 გ.  $8,3 \times 10^{-2}$  ..... დ.  $9,4 \times 10^{-6}$  .....



8. სტანდარტული ფორმით ჩანერილი რიცხვი გამოიყურება ასე:



ჩანერე თითოეული სტანდარტული ფორმით.

- ა.  $4900 = 4,9 \times 10^3$  .....  
 გ.  $51\,000\,000\,000 = 5,1 \times 10^{11}$  .....

9. ჩანერე რიცხვები სტანდარტული ფორმით.

- ა.  $0,000\,83 = 8,3 \times 10^{-4}$  .....  
 გ.  $0,005 = 5 \times 10^{-4}$  .....



ბ.  $0,000\,009\,7 = 9,7 \times 10^{-6}$  .....

დ.  $0,000\,000\,004\,6 = 4,6 \times 10^{-9}$  .....

10. მათე ფიქრობს, რომ  $3\,000\,000\,000$  უფრო მეტია, ვიდრე  $3 \times 10^9$ . მართალია მათე?  
პასუხი დაასაბუთე.

## სტანდარტული ფორმით გამოთვლა

11. გამოთვალე. პასუხები ჩანერე სტანდარტული ფორმით.

ა.  $(2,4 \times 10^2) \times (3 \times 10^5)$  ..... ბ.  $(1,8 \times 10^4) \times (4 \times 10^3)$  ..... გ.  $(5 \times 10^7) \times (3,1 \times 10^2)$  .....  
 $= 2,4 \times 3 \times 10^2 \times 10^5$  .....  
 $= \dots \times 10^7$  .....

$$\text{დ. } \frac{8,4 \times 10^7}{2,1 \times 10^2} \\ = \frac{8,4}{2,1} \times \frac{10^7}{10^2} \\ = \dots \times 10^5$$

$$\text{ვ. } \frac{7,2 \times 10^5}{6 \times 10^8}$$


$$\text{გ. } \frac{4 \times 10^{11}}{5 \times 10^7}$$

ამოხსნილი  
მაგალითი



1. a.  $1,03 \text{სმ} = \dots \text{მ}$   
 b.  $3,35 \text{გ} = \dots \text{მგ}$   
 გ.  $72,6 \text{მლ} = \dots \text{ლ}$

2. მოცემულ ოთხ გამოსახულებას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, რომელიც შუა წრეში უნდა ეწეროს. იპოვე გამოტოვებული რიცხვები და შეავსე დიაგრამა.



3. შეაფასე უფროსი თანრიგის ერთეულამდე დამრგვალებით.

- a.  $329 \div 96 = \dots$   
 b.  $57\ 632 \times 208 = \dots$   
 გ.  $\frac{62 \times 29}{196} = \dots$

4. გამოთვალე:

- a.  $16(-2 + 4) + 3(6 - 9)^2 = \dots$   
 b.  $\frac{8(3)^7}{5 - 3} + 5^2 = \dots$   
 გ.  $14 - \frac{9}{(-2 - 1)^2} + 3 \times 15 = \dots$

5. **მსჯელობა** კვადრატის ფართობია  $3^3 \text{ სმ}^2$ .

რას უდრის ერთი გვერდის სიგრძე?  
 პასუხი დაწერე 3-ის ხარისხის სახით.

$3^3 \text{ სმ}^2$

6. **მსჯელობა**

- a. მონიშნე ტოლი რიცხვები.

$$(0,2)^3 \quad \left(\frac{1}{2}\right)^3 \quad 5^{-3} \quad \left(\frac{1}{5}\right)^3 \quad 25^{-2}$$

- ბ.  $\frac{1}{100}$  ჩაწერე ყველა შესაძლო ფორმით.



### სტრატეგია

ჯერ ჩაწერე ყველა  
 სტანდარტული  
 ფორმით.

7. **პრობლემის გადაჭრა** დაალაგე ზრდის მიხედვით.

$$3,17 \times 10^{-4} \quad 0,31 \times 10^{-3} \quad 0,000\ 315 \quad 3106 \times 10^{-7} \quad \frac{6, \times 10^{-9}}{2 \times 10^{-5}}$$

8. იპოვე მოცემული რიცხვების შეპრონებულები. პასუხი ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

a.  $2 \times 10^7$

b.  $5 \times 10^6$

c.  $8 \times 10^{-4}$

d.  $2,5 \times 10^{-6}$



9. **სინამდვილე** ცხრილში მოცემულია ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და დიდი ბრიტანეთის მოსახლეობები.

a. დაალაგე ქვეყნების მოსახლეობის ზრდის მიხედვით.

b. რა არის დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოსახლეობებს შორის განსხვავება?

ქვეყანა	მოსახლეობა 2014
ავსტრია	$8,53 \times 10^6$
საფრანგეთი	$6,605 \times 10^7$
იტალია	$6,078 \times 10^7$
შვეიცარია	$8,18 \times 10^6$
დიდი ბრიტანეთი	$6,41 \times 10^7$



გ. დაახლოებით რამდენჯერ მეტია ბრიტანეთის მოსახლეობა ავსტრიისაზე?

დ. სულ რამდენია ხუთივე ქვეყნის მოსახლეობა?

ევროპის მოსახლეობაა  $7,38 \times 10^8$ .

ე. ევროპის მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს დიდ ბრიტანეთში ან საფრანგეთში?

10. **პრობლემის გადაჭრა** გამრავლების პირამიდებში ზედა აგურის რიცხვი მის ქვემოთ მყოფი აგურების რიცხვების ნამრავლია. იპოვე გამოტოვებული რიცხვები.



$3^2 \times 5^4 \times 3 \times 5^2 = 3^3 \times 5^6$

$2^5 \times 7^3 \times 2^2 \times 7^2 = 2^{17} \times 7^9$

11. **მსჯელობა** გამოიყენე მე-10 კითხვის პასუხები ზოგადი წესების დასასრულებლად.

a.  $a^p \times b^q \times a^r \times b^s = a \cdots \times b \cdots$

b.  $\frac{a^p \times b^q}{a^r \times b^s} = a \cdots \times b \cdots$

1. შეავსე ცხრილი ბარათების გამოყენებით.

პრეფიქსი	ასო	სარისეი	რიცხვი

$\mu$	ნანო	მილი	დ	0,000 001
0,000 000 001	მ	გიგა	$10^{29}$	
G	T	$10^{12}$	დეცი	$10^{26}$
1 000 000 000 000		$10^{23}$	$10^{21}$	1 000 000 000
n	მიკრო	0,1	$10^9$	0,001

2. შეაფასე პასუხი უფროს თანრიგის ერთეულამდე დამრგვალებით.

ა.  $765 \times 38$  ..... ბ.  $4324 \div 53$  .....

3. დაწერე ერთი რიცხვის სარისხის სახით.

ა.  $5^4 \times 5^{-11}$  ..... ბ.  $8^{-3} \times 8^{-4}$  ..... გ.  $(3^{-2})^4$  ..... დ.  $\frac{6^{-5} \div 6^{-2}}{6^{-1} \times 6^{-3}}$  .....

4. ჩაწერე თითოეული სტანდარტული ფორმით.

ა. 7900 ..... ბ. 0,000 008 13 .....

5. საშუალო მანძილი დედამიწიდან მთვარემდე არის  $3,84 \times 10^5$  კმ.

დაწერე მანძილი მეტრებში ჩვეულებრივი რიცხვით.

.....

6. გამოთვალე თითოეული რიცხვითი გამოსახულება. პასუხი ჩაწერე სტანდარტული ფორმით.

ა.  $\frac{6,3 \times 10^9}{2,1 \times 10^5}$  ..... ბ.  $(2,4 \times 10^5) \times (5 \times 10^{-11})$  .....

7. ფუტკრის მასაა  $1,2 \times 10^{-4}$  კგ. დაწერე მასა გრამებში ჩვეულებრივი რიცხვით.

8. ქალალდის ფურცლის სისქეა  $5 \times 10^{-5}$  მ. რამდენი ფურცელია 801 სმ სიმაღლის ფურცლის დასტაში?